

17. სტამბუკი გერმანიის წინააღმდეგ
(Stambuk v. Germany)
(N 37928/97)

საქმე შეეხება ექიმის დაჯარიმებას პროფესიული რეკლამირების აკრძალვის წესის დარღვევისათვის, რაც შედეგად მოჰყვა გაზეთში მის შესახებ სტატიის გამოქვეყნებას

17 ოქტომბერი, 2002 წ.
განჩინება

კონვენციის მე-10 მუხლი
მიჩნეულ იქნა დარღვეულად

ფაქტები:

მომჩივანი – ექიმი-ოფთალმოლოგი დააჯარიმეს 10000 მარკით პრაქტიკოსი ექიმების მიერ თავიანთი საქმიანობის რეკლამირების აკრძალვის წესის დარღვევის გამო. გაზეთში გამოქვეყნდა სტატია თვალის ოპერაციის მის მიერ შემუშავებული ახალი მეთოდების შესახებ (კერძოდ, საუბარი იყო ლაზერის მეთოდის გამოყენებაზე). სტატიას თან ახლდა ექიმის ფოტოსურათი სამუშაო კაბინეტში. სტატიაში, აგრეთვე, ნათქვამი იყო, რომ მასთან მკურნალობა გაიარა 400-მდე პაციენტმა მკურნალობის წარმატების 100%-იანი მაჩვენებლით. დისციპლინურმა სასამართლომ სტატია და ფოტოსურათი შეაფასა როგორც რეკლამისათვის დამახასიათებელი თვისებების მქონე პუბლიკაცია, რომელიც არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემით.

სამართლის საკითხები:

სასამართლომ აღნიშნა, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა ემსახურებოდა კანონიერ მიზანს (სხვა პირთა უფლებები დაცვას) და გათვალისწინებული იყო კანონით.

რაც შეეხება ჩარევის „აუცილებლობას“, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ პრაქტიკოსი ექიმების საქმიანობის ზოგადი პროფესიული ნორმები წარმოადგენდა საერთო გამართლებას რეკლამაში მათი ფონაწილეობის შეზღუდვისა, მაგრამ სახელმწიფო

ჩიერ დადგენილი წესები გაწონასწორებული უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივი ინტერესებით, კერძოდ, მათი უფლებით; მიეღოთ ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხზე.

სტატია საზოგადოებას აწვდიდა ინფორმაციას სამედიცინო ხასიათის საერთო პრობლემებზე და ოპერაციის მეთოდოლოგია, მთლიანობაში, ობიექტურად იყო გაშუქებული. ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ აღმოაჩინეს სტატიაში უსწორო ან არაადეკვატურად გადმოცემული ინფორმაცია, მათ შორის, ოპერაციის ახალი მეთოდოლოგიის გამოყენების საკუთარი შედეგების თაობაზე, რომელიც დამტკიცებული იყო გამოცდილებითა და რეალური ფაქტებით. ეს კი წარმოადგენდა მკურნალობის ახალი მეთოდის პრეტენზიის მნიშვნელოვან ელემენტს. გარდა ამისა, ფოტოსურათის გამოქვეყნება ვერ ჩაითვლებოდა ვერც აკრძალული ან არაობიექტური ინფორმაციის გამოქვეყნებად და ვერც – შეცდომაში შემყვან რეკლამად. სტატიის მთავარ მიზანს არ წარმოადგენდა ექიმის პიროვნებისა და მისი პრაქტიკის რეკლამირება. ამას მხოლოდ მეორადი მნიშვნელობა გააჩნდა. ასეთ გარემოებებში ეროვნული სასამართლოების შეფასება ვერ იქნებოდა მიჩნეული, როგორც აზრის გამოხატვის თავისუფლებისათვის შესაბამისი. ამასთან, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ექიმის პროფესიის ჰუმანიტარული ხასიათის მხედველობაში მიღებით, ჯარიმის დაკისრება, თუნდაც კანონით გათვალისწინებული მინიმალური ოდენობით, ვერ იქნებოდა შეფასებული როგორც უმნიშვნელო სასჯელი. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფოს ჩარევამ ვერ დაადგინა გონივრული ბალანსი კონფლიქტურ ინტერესებს შორის. კერძოდ, ერთი მხრივ, ჯანმრთელობის დაცვის საჯარო ინტერესსა და აზრის გამოხატვის თავისუფლებას, ხოლო, მეორე მხრივ, სხვა პრაქტიკოსი ექიმების უფლებებსა და ინტერესებს შორის.

შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

სამართლიანი დაკმაყოფილება (კონვენციის 41-ე მუხლი)

ევროპულმა სასამართლომ მომჩივნის მოთხოვნა ხარჯების ანაზღაურების შესახებ უარყო ზოგადი ხასიათისა და იმის გამო, რომ იგი არ იყო დასაბუთებული და დამტკიცებული შესაბამისი დოკუმენტაციით.